

**სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის  
სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი**

2015 წლის  
სამეცნიერო ანგარიში

\* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - გიორგი ქობახიძე

\* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ეკატერინე სანაია

ოლდა წურწუმია

ნანა გამყრელიძე

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის  
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თანამედროვე ზეგამტარი მასალები ფიზიკა, მასალათმცოდნეობა	გ. ქობახიძე	ე. სანაია, ნ. გამყრელიძე, ო. წურწუმია.

მაღალტექნიკური ზეგამტარი მასალები მიღებული იქნა ორი განსხვავებული მეთოდით  
და შეფასდა მიღებული ნიმუშების მახასითებლები.

ტრადიციული მყარსხელოვანი რეაქციით  $YBaCuO$  ნიმუშების მისაღებად საწყისი  
იტრიუმის, ბარიუმის და სპილენდის ოქსიდები იქნა შერეული და დაფქვილი, რის შემდეგაც  
მოთავსდა ალუმინის ოქსიდის ტიგელში, რომელიც შემდგომ მოიწვა თოახის  
ტემპერატურიდან  $950^{\circ}\text{C}$  -მდე 100 გრადუსით, გახურების-გაცივების სიჩქარით 48 საათის  
განმავლობაში მუცელურ დუმელში.

შემდეგ ეტაპზე ნიმუშები კარგად დაიფქვა და დაწნებილი იქნა 8-10 მმ-ის დიამეტრის  
ნამზადებად. ნიმუშები საბოლოოდ მოიწვა 24 საათის განმავლობაში  $950^{\circ}\text{C}$  -მდე 200

გრადუსი გახურების-გაცივების სიჩქარით.

მოწვის შემდეგ ჩატარდა ნიმუშებს რენგენსოსტრუქტურული ანალიზი. დადგინდა, რომ მათ გააჩნიათ ორთორომბული ზეგამტარული ფაზა.

მეორე არატრადიციული სწრაფი კონსოლიდაციის მეთოდები საშუალებას იძლევა შევამციროთ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების დრო, რაც თავის მხრივ განაპირობებს მარცვლის ზომების ზრდის შეზღუდვას და კომპაქტირებული ნიმუშების მაღალ სიმკვრივეს.

დაწესების ცნობილი მეთოდებიდან შერჩეული იქნა ნაპერწყლურ პლაზმური სინთეზის მეთოდი (ნპს). ნპს მეთოდით ფხვნილის კომპაქტირების პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს მუდმივი, ცვლადი და იმპულსური დენების მახასიათებელი პარამეტრების სხვადასხვა ვარიანტის შერჩევით.

ნიმუშის გახურება ხდებოდა დენის გატარებით პუანსონებზე მოდებული ძაბვის მეშვეობით. ვინაიდან YBaCuO ფხვნილის გამტარობა დაბალია, ნიმუშის გახურება ხდება გრაფიტის მილის საშუალებით. კონსოლიდაციის პირველი საფეხურია – ოთახის ტემპერატურაზე ნიმუშების (ფხვნილების) დატვირთვა 30 კგ/მმ<sup>2</sup> წნევით. საწყისი სიმკვრივის მიღების შემდეგ, ამ დატვირთვის ქვეშ, პუანსონებზე მიღებული ძაბვის მიყვანით ხურდება გრაფიტის მიღი და შესაბამისად ნიმუში (30 კგ/მმ<sup>2</sup> – წნევით დაწესებილი ფხვნილი). 300-500°C ინტერვალში ხდება აქტიური “ჩაჯდომა” პროცესის ხანგრძლივობა 2-4 წთ. ამ რეჟიმით მიღებულია ნიმუშები D=10მმ, h=3-4მმ.

დადგინდა, რომ არატრადიციული ნაპერწყლურ - პლაზმური სინთეზის მეთოდით მიღებული ნიმუშები შეესაბამება ზეგამტარებისთვის დამახასიათებელ თრთორომბულ ფაზას და ზეგამტარობაში გადასვლის ტემპერატურა შეადგენს 93,5 კელვინს. სტრუქტურულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნიმუშებისათვის დამახასითებელი ორეულების დეფექტებისათვის დამახასიათებელი კონტრაქტი.


## II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დადის ტიპის დეფორმირებადი თუკის კლემა ფიზიკა, მასალათმცოდნეობა	გ. კობახიძე	ო. წურწუმია, ნ. გამყრელიძე, ე. სანაია

ძირითადი კვლევები ამ წელს დაკავშრებული იყო „დადის“ ტიპის დეფორმირებადი თუკის

კვლევისადმი. აღნიშნული მასალის ნიმუშები დავჭრით 2სმx1სმ-ზე ზომის გუპონებად, რომლებსაც შემდგომში ჩაუტარდათ ალუმინიზაციის შემდეგი პროცესი: ალუმინის ნაწილაკებისაგან დამზადდა სლარის სსნარი ცნობილი პროპორციების გათვალისწინებით, რომელიც შემდგომში დაეფინა დადის ნიმუშებს და გამოიწვა მაღალ ტემპერატურაზე შემდგომი დიფუზიურის განხორციელების მიზნით. ამის შემდეგ, ნიმუშები მზად იყვნენ მაღალტემპერატურული ჟანგის ტესტებისათვის  $650^{\circ}\text{C}$ -ზე.

სურათ 1-ზე მოცემულია მაღალტემპერატურული ჟანგის კინეტიკური მრუდები, საიდანაც ნათელია, რომ დადის ალუმინიზაცია აუმჯობესებს მის მაღალტემპერატული ჟანგის მედეგობას დაახლოებით 7-ჯერ.




სურათი 1.  $650^{\circ}\text{C}$  დაჟანგული დადის ალუმინიზირებული ნიმუშების კინეტიკა 100 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ.

სემ გამოსახულებებიდან წარმატებული დანაფარის მიღების შედეგი ნათელია. თუმცა ალუმინის სლარი აიტკიცა, მან მაინც მოასწრო დიფუნდირება ლითნურ მატრიცაში, რასაც ცალსახად ადასტურებს ზემოთ მოყვანილი კინეტიკური მრუდები.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს გაანალიზების შემდეგ შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციის მიღება: აუცილებლობას წარმოადგენს უფრო სქელი ალუმინიზირებული ფენის მიღება დადის ზედაპირზე, რათა მისი მაღალტემპერატურული კოროზიამედეგობა გაიზარდოს კიდევ უფრო მეტად და მას შეეძლოს უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში პროტექტული თვისებები გამოვლინოს.

წინამდებარე სამუშაო მეტად პერსპექტიული და ხოვატორულია და მიღებული შედეგები იგეგმება, რომ გამოვაქვეყნოთ სტატიის სახით და ასევე წარვადგინოთ 2016 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილია მაღალტემპერატურული კოროზიისა და მასალათა დაცვისადმი.



**Aluminized DADI- surface  
of top coating**

სურათი 2. ატკეცილი ალუმინის სლარის ფენის, დადის ზედაპირისა და თავად სლარის ზედაპირის მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით მიღებული გამოსახულებები (შესაბამისი თანმიმდევრობით)

### II. 1. პუბლიკაციები:

#### ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ქურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ბოკუჩავა, თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალალონია, ე. სანაია, რ. ჭედია	სხვადასხვა ტიპის კომპოზიციური მასალების მიღება მაღალტემპუ- რატურულ ვაკუ- უმურ დუმელში	2 <sup>th</sup> International Conference Modern Technologies and Methods of inorganic materials Science Proceedings	2 <sup>th</sup> International Conference Modern Technologies and Methods of Inorganic Materials Science. 20–24 April, Tbilisi	7

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ნანოტექნოლოგიების გამოყენებას,

ნანოფენილებისა და ნანოსტრუქტურული მასალების მიღებას. ფხვნილოვანი კომპოზიტების კონსოლიდაცია მაღალი წნევის ქვეშ საშუალებას იძლევა მივიღოთ თეორიული სიმკვრივის მქონე მასალები. დამუშავებული იქნა ოქსიდური და არაოქსიდური ნაერთებიდან ( $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$ - $\text{MgO}$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{SiC}$ ,  $\text{MgB}_2$ ,  $\text{MgB}_2$ - $\text{B}_4\text{C}$ ,  $\text{MgB}_2$ - $\text{SiC}$ ,  $\text{WC}$ - $\text{Co}$ ,  $\text{TiC}$ - $\text{Ni}$ ,  $\text{Mo}_2\text{C}$ - $\text{Co}$ ) სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე მასალების მიღების ტექნოლოგია მაღალტემპერატურულ ვაკუუმური ლუმელის (OXY-GON) გამოყენებით.

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერჩალის/კრებულის დასახელება	შერჩალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ე. ქუთელია, გ. კვინიკაძე ე. სანაია, ო. ძიგრაშვილი	მემბრანული ტექნოლოგიით მიღებული ზესუფთა გალიუმის ( $\geq 7\text{N}^+$ ) გამოყენების ეფექტურობა მაღალი ხარისხის <b>GaAs</b> მონოკრისტალების წარმოებისთვის	International Conference on advanced materials and Technologies, Proceedings	International Conference on advanced materials and Technologies, 22- 25 October, 2015, Tbilisi, Georgia	4
თხევადი გალიუმის მინარევებისაგან მემბრანული ტექნოლოგიით გასუფთავების განვითარებამ, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ წარმოებას $7\text{N}^+ \div 8\text{N}$ სისუფთავის გალიუმის კომერციული $6\text{N}$ სისუფთავის გალიუმისგან, უმნიშვნელოდ მცირე ენერგიის დანახარჯებით, მოქაცა მოტივაცია ჩაგვეტარებინა მემბრანული ტექნოლოგიით მიღებული ზესუფთა ( $\geq 7\text{N}^+$ ) გალიუმისა და კომერციული $6\text{N}$ სისუფთავის გალიუმისგან გამოზრდილი <b>GaAs</b> მონოკრისტალების ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების შედარებითი შესწავლა. <b>GaAs</b> მონოკრისტალები გამოიზარდნენ ჩოხრალსკის მეთოდით, სერიული ინდუსტრიული დანაღვარების გამოყენებით შემდეგი კომპოზიციის მდნარებიდან: 1. კომერციული $6\text{NAs} + \text{კომერციული } 6\text{NGa}$ , 2. კომერციული $6\text{NAs} + \text{მემბრანული } 7\text{N}^+\text{Ga}$ და 3. სპეციალური $7\text{NAs} + \text{მემბრანული } 7\text{N}^+\text{Ga}$ . “Hall carrier mobility”-ის გაზომვებმა, ზემოთ აღნიშნულ მონოკრისტალებზე, აჩვენა ზესუფთა ( $\geq 7\text{N}^+$ ) გალიუმის ეფექტურობა მაღალი ხარისხის <b>GaAs</b> მონოკრისტალების წარმოებისთვის. კერძოდ, არის შესაძლებლობა <b>GaAs</b> მონოკრისტალის “carrier mobility”-ის გაზრდა $\sim 20\%$ .					

## II. 2. პუბლიკაციები

### ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. წურწუმია ე. ქუთელია გ. ოქროსაშვილი	High temperature oxidation of P92 steel and DADI coated with high chromium content Fe-44Cr-4Al alloy  (მაღალი ქომის შემცველი Fe-Cr-Al შენადნობით დაფარული P92 ფოლადისა და დადის მაღალტემპერატურული ჟანგვა)	2015 – Gordon Research Conferences, High Temperature Corrosion, Colby Sawyer College, New London, New Hampshire, USA, 26 - 31 July 2015 (Poster Presentation)  Proceedings		

წინამდებარე სამუშაოს ორი შენადნობი P92 და DADI (შემუშავებული სტუ-ში) წარმოადგენდა წვენი ინტერესის საგანს. ორივე მასალის ნიმუშები დაფარული იყო Fe-Cr-Al შენადნობის 50-80 მიკრონამდე ფენით და გამოცდილი მაღალ ტემპერატურებზე ჟანგვაზე. დანაფარის საუკეთესო პარამეტრები იქნა შერჩეული ყველაზე დანაფარის ხელსაყრელ სისქესთან ერთად.